

**სისტემათაშორისო ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი  
ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის  
და შიდა შემზღვევადი რესურსის განაწილება/გადანაწილების  
სპეციალური აუქციონის წესები**

**მუხლი 1. ზოგადი დებულებები**

1. სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის და საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილება/გადანაწილების სპეციალური აუქციონის წესები (შემდგომში "აუქციონის წესები") შემუშავებულია საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული "ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" (შემდგომში "ბაზრის წესები") მოთხოვნათა შესაბამისად.

2. აუქციონის წესები განსაზღვრავს ბაზრის წესების მე-14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით ელექტროენერჯის ექსპორტის მიზნებისთვის დადგენილი, პრიორიტეტულობის ჯგუფების რიგის მიხედვით სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის მოცულობის ექსპორტიორებს, ასევე ტრანზიტის დამკვეთ პირებს შორის განაწილება/გადანაწილების, ასევე ბაზრის წესების 14<sup>23</sup>-ე და 14<sup>24</sup>-ე მუხლებში განსაზღვრული წესის შესაბამისად საექსპორტოდ ნებადართული მოცულობისა და სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის განაწილების აუქციონის ჩატარების პირობებს და პროცედურებს.

2<sup>1</sup>. ბაზრის წესების მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ელექტროენერჯის ქვეყნის შიდა წარმოებაში სიჭარბის არსებობისას, ბალანსებით დამტკიცებული მოცულობების ზევით (ასევე ბალანსებით გათვალისწინებული მიმართულებებით) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიერ დარეგისტრირებული განაცხადებით გათვალისწინებული ჭარბი ელექტროენერჯის საექსპორტო მოცულობა, საანგარიშო პერიოდის შიგნით, ნაწილდება აუქციონის მეშვეობით, ამ წესებით დადგენილი პროცედურებით. ბაზრის წესების მე-14<sup>1</sup> მუხლის მე-5<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, ელექტროენერჯის სიჭარბის შედეგად ბალანსში შეტანილი საექსპორტოდ ნებადართული გაზრდილი მოცულობის ხელმისაწვდომი ნაწილი საანგარიშო პერიოდის შიგნით, ასევე მომდევნო საანგარიშო პერიოდ(ებ)ისთვის, ნაწილდება აუქციონის მეშვეობით, ამ წესით დადგენილი პროცედურების შესაბამისად (08.07.2015).

3. აუქციონის წესების მიზანია სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის, საექსპორტოდ ნებადართული მოცულობისა და სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის, წინასწარ დადგენილი წესით თანაბარ პირობებში განაწილება.

4. აუქციონის წესები ეფუძნება აუქციონის შედეგების მხარეთათვის სავალდებულოების პრინციპს, რაც გულისხმობს გამარჯვებულად გამოვლენისთანავე, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის და გამარჯვებული მონაწილეების შესაბამისი

ვალდებულებების (აუქციონის წესების და განაცხადის პირობების შესაბამისად) ძალაში შესვლის აუცილებელ პირობას.

## მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. აუქციონის წესებში გამოყენებულ ტერმინებს გააჩნიათ შემდეგი მნიშვნელობა:

ა), „POA” (Product Offered by Auction) - არის აუქციონის წესით გასანაწილებელი მოცულობა აუქციონზე გამოცხადებული პერიოდისთვის. „POA” შეიძლება იყოს

ა.ა) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობა

ა.ბ) საექსპორტოდ ნებადართული მოცულობა ან

ა.გ) სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის მოცულობა

ბ) „პრეტენდენტი“ – ექსპორტიორი ან ტრანზიტის დამკვეთი საწარმო, რომლის მოთხოვნაც „POA“-ს მოსაპოვებელ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილი იქნა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან და რომელიც დიპეტჩერიზაციის ლიცენზიანტმა დაარეგისტრირა შესაბამის ვებ-პლატფორმაზე;

გ) „მონაწილე“ – პრეტენდენტი, რომელმაც გააკეთა განაცხადი POA-ს მოსაპოვებლად შესაბამის აუქციონზე ვებ-პლატფორმის მეშვეობით

დ) აუქციონი – გულისხმობს აუქციონს, რომელიც ტარდება სპეციალური ვებ-პლატფორმის გამოყენებით POA-ს შესაბამისი კომპონენტის გასანაწილებლად;

დ). „ა“ საანგარიშო პერიოდზე-შესაბამისი საანგარიშო პერიოდის პირველი დღიდან ბოლო დღის ცათვლით პერიოდისთვის (ან საანგარიშო პერიოდის შიგნით ცალკეული დრეებისთვის რამდენიმე მომდევნო (მიუხედავად თანმიმდევრობისა)) საანგარიშო პერიოდისთვის;

დ). „ბ“ საანგარიშო პერიოდის ნაწილზე-მოცემული საანგარისოპერიოდის შიგნით ცალკეული დღეებისთვის ან/და მისი ნაწილისთვის (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (12.04.16 N208)

ე) განაცხადი – გულისხმობს გამოქვეყნებულ აუქციონზე მონაწილის მიერ მოთხოვნილ POA-ს მოცულობას და დამატებითი საფასურის შემოთავაზებას გამოსახულს ლარში 1 მგვტ.სთ-ის მოცულობის ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭებისათვის, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს აუქციონის წესებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად;

ვ) საბოლოო ფასი – გულისხმობს აუქციონის წესების შესაბამისად მონაწილის მიერ ლარში დაფიქსირებულ ღირებულებას 1 მგვტ.სთ-ის მოცულობის ელექტროენერჯის გადაცემის უფლების მინიჭებისათვის, რომლის გადახდაზეც თანახმაა მონაწილე აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში.

ზ) გადაცემის უფლება – გულისხმობს „CAA“-ს სრული მოცულობის ან ნაწილის გამოყენების უფლებას;

თ) ექსპორტის უფლება - გულისხმობს საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის სრულად ან მისი ნაწილის გამოყენების უფლებას

ი) გამარჯვებული მონაწილე – არის მონაწილე, რომელმაც მოიპოვა POA-ს შესაბამისი კომპონენტის მოცულობა;

კ) აუქციონის ვებ-პლატფორმა – [www.gcat.com.ge](http://www.gcat.com.ge);

ლ) **სამუშაო დღე** - ყოველი იმ კალენდარული დღის 09:00 საათიდან 18:00 საათის ჩათვლით პერიოდი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად არ არის უქმე ან დასვენების დღე. ამ წესების მიზნებისათვის სამუშაო დღის ათვლა ხდება შემდეგი დღიდან, ხოლო დათქმული სამუშაო დღეების რაოდენობის ამოწურვა ხდება რიგით ბოლო სამუშაო დღის დასრულებისთანავე.

მ) საბანკო გარანტია - ბაზრის წესების 14<sup>16</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „ე.ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნების შესაბამისი საბანკო გარანტია.

ნ) პრიორიტეტულობის კატეგორია - ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი ქვეპუნქტით დადგენილი პრიორიტეტულობის ჯგუფები-კატეგორიები.

2. ამ წესში გამოყენებულ სხვა ტერმინებს გააჩნიათ "ელექტროენერჯისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონითა და "ბაზრის წესებით" განსაზღვრული მნიშვნელობები.

**მუხლი 3. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტად რეგისტრაციის და რეგისტრაციის შეჩერებების პროცედურები**

1. პრეტენდენტად რეგისტრაცია ხდება აუქციონის ვებ პლატფორმაზე კომპანიის რეგისტრაციის გზით, შესაბამისი მომხმარებლის სახელისა და პაროლის მინიჭებით.

2. ვებ-პლატფორმაზე რეგისტრაცია შეუძლია ნებისმიერ ექსპორტიორს. ხოლო ტრანზიტის შემთხვევაში მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებსაც გააჩნია შესაბამისი ხელშეკრულება ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებაზე.

3. რეგისტრაციისათვის პრეტენდენტმა უნდა მიმართოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს სპეციალური განაცხადით, რომელიც წარმოადგენს ამ წესების დანართს N1.

4. განაცხადი უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) რეკვიზიტები: დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი (ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი), ფაქტიური მისამართი, საკონტაქტო მონაცემები;

ბ) იმ იმეილის მისამართი, რომლითაც მოხდება კომპანიის დარეგისტრირება ვებ პლატფორმაზე (უფლებამოსილი პირის იმეილი)

გ) კომპანიის მიერ შერჩეული საკონტაქტო პირების შესახებ ინფორმაციას.

5. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი ამოწმებს შემოსულ დოკუმენტაციას ამ წესებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე და არეგისტრირებას პრეტენდენტს ან უარს აცხადებს მის რეგისტრაციაზე განაცხადის მიღებიდან დადგენილ ვადაში. რეგისტრაციის შედეგად კომპანიის მიერ ავტორიზირებულ იმეილზე იგზავნება რეგისტრაციის დადასტურების შეტყობინება კომპანიის პროფილში შესასვლელი მონაცემების (მეილი, პაროლი) მითითებით. პაროლი შეიძლება შეიცვალოს პრეტენდენტის მიერ საკუთარი გვედრის მეშვეობით.

6. პრეტენდენტის რეგისტრაციაზე უარი დაიშვება, თუ:

ა) პრეტენდენტი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნებს.

ბ) წარმოდგენილი განაცხადი არ არის შევსებული სათანადო წესით.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატი განაცხადის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში დასაბუთებულ უარს აცხადებს პრეტენდენტის რეგისტრაციაზე, რის გამოც კომპანია ვერ მიიღებს მონაწილეობას აუქციონის პროცესში.

8. დასაშვებია განაცხადის წარდგენისას არსებული ხარვეზების გამოსწორება მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 8 სამუშაო დღის ვადაში.

9. პრეტენდენტის მონაცემებში ცვლილების შეტანა შესაძლებელია პრეტენდენტის უფლებამოსილი პირის ხელმოწერილი განაცხადის წარმოდგენის შემთხვევაში.

10. დასაშვებია პრეტენდენტის აუქციონის ვებ პლატფორმაზე რეგისტრაციის შეჩერება/დეაქტივაცია შემდეგ შემთხვევებში:

- ა) პრეტენდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე;
- ბ) პრეტენდენტს გააუქმდა ექსპორტიორის, ხოლო რეექსპორტიორის შემთხვევაში ექსპორტიორის ან/და იმპორტიორის სტატუსი;
- გ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის ცნობილი გახდა, რომ პრეტენდენტი იმყოფება გაკოტრების რეჟიმში;
- დ) პრეტენდენტს საჭიროების შემთხვევაში არ აქვს წარმოდგენილი საბანკო გარანტია ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტები;
- ე) პრეტენდენტს აღარ გააჩნია მოქმედი ხელშეკრულება ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებაზე (მხოლოდ ტრანზიტორის შემთხვევაში);
- ვ) ამოღებულია (08.07.2015)
- ზ) კანონმდებლობითა და ამ წესებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11. ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში პრეტენდენტი ვერ მიიღებს მონაწილეობას გამოცხადებულ აუქციონში.

12. პრეტენდენტის პროფილის დეაქტივაცია ხდება დაუყოვნებლივ, როცა დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატისათვის ცნობილი ხდება ამ მუხლის მე-10 პუნქტში მოყვანილ გარემოებების შესახებ.

13. დეაქტივირებული პროფილის მქონე პრეტენდენტის მიერ გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორება უნდა მოხდეს აუქციონის დახურვის ვადამდე არაუგვიანეს 3 (სამი) საათით ადრე ვადისა, რაზედაც უნდა ეცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატს წერილობით ან/და ელექტრონულ ფოსტის მისამართზე (atc@gse.com.ge) და წარედგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

14. პრეტენდენტის მიერ ხარვეზების გამოსწორების შემთხვევაში პროფილის რეაქტივაცია ხდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის ინფორმირებიდან 1 (ერთი) საათის განმავლობაში.

15. უშუალოდ რომელიმე აუქციონის გამოცხადების წინ ან აუქციონის მსვლელობისას დასაშვებია პრეტენდენტის მიერ განაცხადის გაკეთების შეზღუდვა თუ ცნობილი გახდა, რომ პრეტენდენტი არ აკმაყოფილებს შესაბამისი აუქციონის მონაწილისათვის დაწესებულ მოთხოვნებს ან/და ადგილი აქვს ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ გარემოებებს.

#### მუხლი 4. აუქციონში მონაწილეობის უფლებები და მონაწილეობის შეზღუდვები

1. აუქციონის მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტები ვალდებული არიან შეესაბამებოდნენ ბაზრის წესებით და ამ წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და წარმოადგინონ სათანადო დოკუმენტაცია.

2. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილებისათვის გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი საჭიროა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

- ა) გააჩნდეს ექსპორტიორის სტატუსი

ბ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული გადაცემა/დისპეტჩერიზაციის პირდაპირი ხელშეკრულებები

გ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული ელექტროენერჯის ექსპორტზე ხელშეკრულება და ელექტროენერჯის ექსპორტზე პირდაპირი ხელშეკრულება ან წარმოდგენილი ჰქონდეს სათანადო საბანკო გარანტია.

დ) ამოღებულია (08.07.2015)

ე) არ უნდა იმყოფებოდეს გაკოტრების რეჟიმში ან/და არ უნდა ედოს ყადაღა, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით

3. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების მიზნით გამოცხადებულ აუქციონში პრეტენდენტი დებულობს მონაწილეობას მხოლოდ მის მიერ რეგისტრირებული ექსპორტზე პირდაპირი ხელშეკრულებების მოცულობისა ან/და წარმოდგენილი საბანკო განატიით უზრუნველყოფილი მოცულობის ფარგლებში, პრიორიტეტულობის კატეგორიების რიგითობის გათვალისწინებით.

4. **სატრანზიტოდ ნებადართული** გამტარუნარიანობის განაწილებისათვის გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად პრეტენდენტი საჭიროა აკმაყოფილედეს შემდეგ მოთხოვნებს:

ა) გააჩნდეს ექსპორტიორის და იმპორტიორის სტატუსი (მხოლოდ რეექსპორტის მსურველებისათვის);

ბ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული გადაცემა/დისპეტჩერიზაციის პირდაპირი ხელშეკრულებები (მხოლოდ რეექსპორტის მსურველებისათვის);

გ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული ელექტროენერჯის ექსპორტზე და იმპორტზე ხელშეკრულება ან წარმოდგენილი ჰქონდეს სათანადო საბანკო გარანტია. (მხოლოდ რეექსპორტის მსურველებისათვის);

დ) გააჩნდეს ხელშეკრულება ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებაზე (მხოლოდ ტრანზიტის მსურველებისათვის);

ე) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული ტრანზიტის გადახრებზე ელექტროენერჯის ექსპორტის და იმპორტის ხელშეკრულებები. (მხოლოდ ტრანზიტის მსურველებისათვის);

ვ) არ გააჩნდეს ვადაგადაცილებული დავალიანება გადაცემა/დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიმართ, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი წერილით;

ზ) არ უნდა იმყოფებოდეს გაკოტრების რეჟიმში ან/და არ უნდა ედოს ყადაღა, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

თ) ბაზრის წესებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

5. სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის აუქციონში მონაწილეობისათვის უნდა აკმაყოფილდნენ შემდეგ მოთხოვნებს :

ა) ექსპორტის შემთვევაში:

ა.ა) გააჩნდეს ექსპორტიორის სტატუსი;

ა.ბ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული გადაცემა/დისპეტჩერიზაციის პირდაპირი ხელშეკრულებები;

ა.გ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული ელექტროენერჯის ექსპორტზე ხელშეკრულება და ელექტროენერჯის ექსპორტზე პირდაპირი ხელშეკრულება ან წარმოდგენილი ჰქონდეს სათანადო საბანკო გარანტია;

ა.დ) სათანადო წესით მოპოვებული ჰქონდეს საექსპორტოდ ნებადართული მოცულობით სარგებლობის უფლება;

ა.ე) ამოღებულია (08.07.2015)

ა.ვ) არ უნდა იმყოფებოდეს გაკოტრების რეჟიმში ან/და არ უნდა ედოს ყადაღა, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით

ბ) რეექსპორტის შემთხვევაში:

ბ.ა) გააჩნდეს ექსპორტიორის და იმპორტიორის სტატუსი;

ბ.ბ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული გადაცემა/დისპეტჩერიზაციის პირდაპირი ხელშეკრულებები;

ბ.გ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული ელექტროენერჯის ექსპორტზე და იმპორტზე ხელშეკრულება ან წარმოდგენილი ჰქონდეს სათანადო საბანკო გარანტია;

ბ.დ) სათანადო წესით მოპოვებული ჰქონდეს სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობით სარგებლობის უფლება

ბ.ე) არ გააჩნდეს ვადაგადაცილებული დავალიანება გადაცემა/დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიმართ, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი წერილით.

ბ.ვ) არ უნდა იმყოფებოდეს გაკოტრების რეჟიმში ან/და არ უნდა ედოს ყადაღა, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით.

გ) ტრანზიტის შემთხვევაში

გ.ა) გააჩნდეს ხელშეკრულება ელექტროენერჯის ტრანზიტის მომსახურებაზე

გ.ბ) გააჩნდეს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატთან სათანადო წესით რეგისტრირებული ტრანზიტის გადახრებზე ელექტროენერჯის ექსპორტის და იმპორტის ხელშეკრულებები.

გ.გ) სათანადო წესით მოპოვებული ჰქონდეს სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობით სარგებლობის უფლება

გ.დ) არ გააჩნდეს ვადაგადაცილებული დავალიანება გადაცემა/დისპეტჩერიზაციის ლიცენზიატის მიმართ, რაც უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი ლიცენზიატის მიერ წარმოდგენილი წერილით.

გ.ე) არ უნდა იმყოფებოდეს გაკოტრების რეჟიმში ან/და არ უნდა ედოს ყადაღა, რაც უნდა დასტურდებოდეს სათანადო ორგანოს მიერ გაცემული ცნობით;

გ.ვ) ბაზრის წესებით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია;

6. სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის აუქციონში მონაწილე ექსპორტიორის მიერ დასაშვებია განაცხადის გაკეთება მხოლოდ მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ფარგლებში, ხოლო ტრანზიტორის (რეექსპორტიორის) მიერ მხოლოდ სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის მოპოვებული მოცულობის ფარგლებში.

7. ამ მუხლის მე-6 პუნქტის შესრულების მიზნით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია შეზღუდოს პრეტენდენტის მიერ შესაბამისი პრიორიტეტულობის კატეგორიაში გასაკეთებელი განაცხადის მაქსიმალური ოდენობა.

8. თუ პრეტენდენტი არ აკმაყოფილებს ამ მუხლის მოთხოვნებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია შეზღუდოს პრეტენდენტის მიერ აუქციონში განაცხადების გაკეთების უფლება ან/და მოახდინოს მისი პროფილის დეაქტივაცია შესაბამისი მოთხოვნების შესრულებამდე.

9. ამ მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში პრეტენდენტის მიერ გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის სურვილის შემთხვევაში ხარვეზის გამოსწორება უნდა მოხდეს აუქციონის დახურვის ვადამდე არაუგვიანეს 3 (სამი) საათით ადრე ვადისა, რაზედაც უნდა ეცნობოს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს წერილობით ან/და ელექტრონულ ფოსტის მისამართზე (atc@gse.com.ge) და წარედგინოს შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტი.

10. პრეტენდენტის მიერ ხარვეზების გამოსწორების შემთხვევაში შეზღუდვის მოხსნა ხდება დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის ინფორმირებიდან (ერთი) საათის განმავლობაში.

#### მუხლი 5. აუქციონის ჩატარების და გამარჯვებულის გამოვლენის წესი

1. აუქციონი ტარდება დაუსწრებლად, ვებ პლატფორმის გამოყენებით,

2. აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ამ წესების მე-3 მუხლის მიხედვით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ ვებ-პლატფორმაზე დარეგისტრირებულ და ამ წესების მე-4 მუხლის პირობების დაცვით, შესაბამისი აუქციონისთვის გააქტიურებულ პრეტენდენტებს.

3. აუქციონი იმართება ცალ-ცალკე ყოველ შესატყვის საანგარიშო პერიოდზე (ან/და საანგარიშო პერიოდის ნაწილზე) „POA“-ს კომპონენტების მიხედვით;

4. მონაწილის მიერ აუქციონზე განაცხადის გაკეთება სასურველი POA-ს მოცულობის მოთხოვნით და მაქსიმალური ფასის/ დამატებითი საფასურის მითითებით ხორციელდება აუქციონის ვებ პლატფორმის მეშვეობით. დასაშვებია განაცხადში მონაცემების ცვლილება/განაცხადის გაუქმება აუქციონის ვადის დასრულებამდე, აუქციონის ვადის დასრულების შემდეგ განაცხადში ცვლილების შეტანა/ გაუქმება შეუძლებელია.

5. მოთხოვნილი სიმძლავრე შესაძლებელია იყოს 0,5 მგვტ-ის ჯერადი.

6. მონაწილის მიერ მოსათხოვი „POA“-ს ოდენობა იზღუდება:

ა) ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის კატეგორიით იმისდა მიხედვით თუ რომელ კატეგორიას მიეკუთვნება საექსპორტო/სატრანზიტო ელექტროენერჯის მოცულობა.

ბ) სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ნარჩენი გამტარუნარიანობის მოთხოვნისას მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული ან სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის მაქსიმალური ოდენობით;

გ) საექსპორტოდ ნებადართული მოცულობისა ან ნარჩენი მოცულობის მოთხოვნისას გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებების მოცულობებისა ან/და წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მაქსიმალური ოდენობით, ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით;

დ) სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის ნარჩენი მოცულობის მოთხოვნისას ელექტროენერჯის ტრანზიტზე გაფორმებული ხელშეკრულების ან/და მოთხოვნილი მიმართულების/სატრანზიტო დერეფნის ხელმისაწვდომი გამტარუნარიანობის მაქსიმალური ოდენობით, ამ მუხლის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით.

7. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია თვითონ შეზღუდოს ელექტრონული აქუციონის პროგრამის მეშვეობით მონაწილის მიერ გასაკეთებელი განაცხადის ოდენობა:

ა) მონაწილის მიერ გასატანი/სატრანზიტო ელექტროენერჯის ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის კატეგორიის კუთვნილების მიხედვით;

ბ) სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ნარჩენი გამტარუნარიანობის გამოცხადებისას მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობების ან სატრანზიტოდ გამტარუნარიანობის მოცულობების შესაბამისად;

გ) საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ნარჩენი მოცულობის გამოცხადებისას გაფორმებული პირდაპირი ხელშეკრულებების მოცულობებისა ან/და წარმოდგენილი საბანკო გარანტიის შესაბამისად;

დ) სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის ნარჩენი მოცულობის გამოცხადებისას ელექტროენერჯის ტრანზიტზე გაფორმებული ხელშეკრულების ან/და მოთხოვნილი მიმართულების/სატრანზიტო დერეფნის ხელმისაწვდომი გამტარუნარიანობის შესაბამისად.

8. პრეტენდენტი უფლებამოსილია მოთხოვნილი სიმძლავრე დაყოს რამოდენიმე კომპონენტად და თითოეულ ამ კომპონენტის მოსაპოვებლად გააკეთოს ცალკე განაცხადი იმ პრინციპით, რომ ყოველი შემდგომი კომპონენტის ფასი არ უნდა იყოს წინა კომპონენტის ფასზე მეტი.

9. შემოთავაზებული ფასი იყოს ჯერადი 0,01 ლარი/მგვტ.სთ-ისა.

10. „POA“-ს მოცულობის განაწილება ხდება ავტომატურად, ვებ-პლატფორმის მეშვეობით, ამ წესებისა და ბაზრის წესების პრინციპების შესაბამისად.

11. გამარჯვებულის გამოვლენა ხდება ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის კატეგორიის კუთვნილებისა და ყველაზე უმეტესი ფასის მიხედვით, იმ პრინციპის გამოყენებით, რომ

ა) ჯერ კმაყოფილდება უმაღლესი კატეგორიის მიკუთვნებული განაცხადები და შემდეგ მომდევნო პრიორიტეტულობის კატეგორიის მიკუთვნებული განაცხადები;

ბ) თუ გამოცხადებული POA-ს მოცულობა ან მისი ხელმისაწვდომი ნაშთი არ არის საკმარისი რომელიმე კატეგორიის მიკუთვნებული განაცხადების სრულად დასაკმაყოფილებლად, მაშინ პრიორიტეტულობის ამ ჯგუფში ადგილი აქვს შეზღუდვას და უპირატესობა ენიჭება ამ პრიორიტეტულობის კატეგორიის ფარგლებში ყველაზე დიდი ფასის მქონე განაცხადს და შემდეგ მომდევნო ყველაზე დიდი ფასის მქონეს, მანამდე სანამ სრულად არ იქნება ათვისებული POA-ს გამოცხადებული მოცულობა ან მისი ხელმისაწვდომი ნაშთი.

გ) ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეზღუდვის მქონე პრიორიტეტულობის კატეგორიის მომდევნო კატეგორიას მიკუთვნებული განაცხადების დაკმაყოფილება არ ხდება.

12. მონაწილეების მიერ დამატებითი საფასურის გადახდა არ ხდება თუ ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის იმ კატეგორიის ფარგლებში, რომელსაც მიეკუთვნება მონაწილე, დაკმაყოფილდა ყველა განაცხადი, და ამავე დროს განაწილების შემდეგ აუთვისებელი POA-ს გამოცხადებული მოცულობა ან მისი ხელმისაწვდომი ნაშთი 0-ის ტოლია ან 0-ზე მეტია.

13. თუ ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის რომელიმე კატეგორიის ფარგლებში, დაკმაყოფილდა ყველა განაცხადი, და ამავე დროს განაწილების შემდეგ აუთვისებელი POA-ს გამოცხადებული მოცულობა ან მისი ხელმისაწვდომი ნაშთი 0,5 მგვტის ტოლი ან მეტია, ეს მოცულობა ნაწილდება მომდევნო პრიორიტეტულობის ჯგუფის განაცხადების დასაკმაყოფილებლად.

14. ამ მუხლის მე-10 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ფასი წარმოადგენს POA-ს მოცულობით სარგებლობის უფლების მოპოვებისთვის გადასახდელ დამატებით საფასურს, რომელის საბოლოო ოდენობა დაითვლება და გადაიხდება ბაზრის წესების მოთხოვნების შესაბამისად.

15. თუ 2 ან მეტი პრეტენდენტი წარმოადგენს ერთი და იგივე განაცხადს, ხოლო POA-ს მოცულობა ან მისი ხელმისაწვდომი ნაშთი არ იძლევა მისი პრეტენდენტთა შორის უნაშთოდ განაწილების საშუალებას ბოლო 0,5 მგვტ უნაწილდება იმ პრეტენდენტს, რომელმაც ყველაზე ადრე წარმოადგინა განაცხადი.

## მუხლი 6. აუქციონის ან/და მისი შედეგების გაუქმება ან შედეგების ცვლილება

1. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია გააუქმოს გამოცხადებული (დაწყებული) აუქციონი მის დასრულებამდე თუ:

ა) შეიცვალა გამოცხადებული „POA“-ს მოცულობა

ბ) ცნობილი გახდა, რომ გამოცხადებული „POA“-ს სარგებლობის უფლების განხორციელებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სისტემის მდგრადობას, იმედიანობას ან/და საიმედო ფუნქციონირებას.

გ) ბაზრის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია გააუქმოს სპეციალური აუქციონის შედეგები თუ ცნობილი გახდა, რომ

ა) გამოცხადებული „POA“-ს სარგებლობის უფლების განხორციელებამ შეიძლება ხელი შეუშალოს სისტემის მდგრადობას, იმედიანობას ან/და საიმედო ფუნქციონირებას.

ბ) აუქციონის ჩატარების შემდეგ შემცირდა გამოცხადებული „POA“-ს მოცულობა

გ) ბაზრის წესებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია შეცვალოს სპეციალური აუქციონის შედეგები და ხელით გადაანაწილოს „POA“ თუ:

ა) აუქციონის ჩატარების შემდეგ 1 სამუშაო დღეში შეიცვალა გამოცხადებული „POA“-ს მოცულობა;

ბ) ადგილი ჰქონდა მონაწილის მიერ დაშვებულზე მეტი განაცხადის გაკეთებას;

გ) ადგილი ჰქონდა ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის იმ კატეგორიის ფარგლებში განაცხადის გაკეთებას, რომლის უფლებაც მონაწილეს არ გააჩნდა;

დ) აუქციონის ჩატარების შემდეგ დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტისთვის ცნობილი გახდა, რომ მონაწილე აუქციონის ჩატარების მომენტისათვის არ აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს.

4. აუქციონის შედეგების ცვლილების შემთხვევაში დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის უფლებამოსილი წარმომადგენელი ახდენს აუქციონის შედეგების ჩასწორებას ამ წესების მე-5 მუხლის მე-11 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

#### მუხლი 7. აუქციონის ვებ-გვერდი

1. აუქციონის ვებ-პლატფორმის მისამართია [www.gcat.com.ge](http://www.gcat.com.ge)

2. აუქციონის ვებ-გვერდი უნდა იძლეოდეს შემდეგ დოკუმენტებთან და ინფორმაციებთან თავისუფალი წვდომის შესაძლებლობას:

ა) საქართველოს ენერჯეტიკის მინისტრის 2006 წლის 30 აგვისტოს N77 ბრძანებით დამტკიცებული “ელექტროენერჯის (სიმძლავრის) ბაზრის წესები”;

ბ) აუქციონის წესები;

გ) “NTC”;

დ) „POA”;

ე) ვებ-პლატფორმაზე დარეგისტრირებულ იმ პრეტენდენტთა სია, რომლებიც დაშვებულნი არიან მიმდინარე აუქციონებში მონაწილეობის მისაღებად

ვ) „AAC”;

ზ) ინფორმაცია აუქციონის გამოცხადების შესახებ;

თ) საკონტაქტო პირთა ვინაობა, თანამდებობა, ტელეფონის და ფაქსის ნომრები, ასევე ელ.ფოსტის მისამართები;

ი) აუქციონის შედეგები, გამარჯვებული მონაწილეების სია, მათზე განაწილებული „POA” -ს ოდენობების მითითებით;

კ) იმ სარემონტო სამუშაოებისა და შეზღუდვების ნუსხას, შესაბამისი პერიოდების მითითებით, რომელიც ზღუდავს გადასადინებელი ელექტროენერჯის მოცულობას.

ლ) სხვა ის ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია აუქციონთან და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი საჭიროდ თვლის მის გამოქვეყნებას და ასეთი ინფორმაციის გამოქვეყნება არ იკრძალება კანონმდებლობით.

3. დარეგისტრირებულ პრეტენდენტებს აუქციონის ვებ-გვერდიდან უნდა შეეძლოთ კომპანიის პირად პროფილში შესვლა, საიდანაც მათ უნდა ქონდეთ წვდომა შემდეგ ინფორმაციასთან და მოდულებთან:

ა) მათთვის განაწილებული POA-ს მოცულობა შესაბამისი პერიოდების მითითებით

ბ) იმ აუქციონების სია, რომელშიც მათ მიუღიათ მონაწილეობა.

გ) აუქციონის ვებ პორტალზე გამოქვეყნებულ, როგორც საჯარო, ასევე მხოლოდ მისთვის ან პრეტენდენტებისათვის ხელმისაწვდომი განცხადებებთან წვდომა;

დ) განაცხადების გაკეთების მოდულთან წვდომა.

4. დარეგისტრირებულ პრეტენდენტებს აუქციონის ვებ-გვერდიდან უნდა შეეძლოთ კომპანიის პირად პროფილში შესვლა, საიდანაც მათ უნდა ქონდეთ შემდეგი მოქმედებების განხორციელების საშუალება:

ა) გამოცხადებულ აუქციონებზე განაცხადის გაკეთება  
ბ) განაწილებული სიმძლავრის პერიოდში გადადინების ყოველსაათური განაცხადის ატვირთვა

გ) თავისი პაროლის შეცვლა

5. აუქციონის ვებ-გვერდის/ ვებ პლატფორმის ადმინისტრირებას ახდენს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი.

**მუხლი 8. აუქციონის შედეგების გამოცხადება.**

1. აუქციონის შედეგებს ადასტურებს დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი, რის შემდეგაც მისი შედეგები ქვეყნდება აუქციონის ვებ-გვერდზე.

2. აუქციონის შედეგების დადასტურება ხდება მისი დახურვიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში.

3. აუქციონის შედეგების გამოქვეყნება გულისხმობს აუქციონის ვებ გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებას, რომელიც მათ შორის მოიცავს:

ა) ინფორმაციას გამოცხადებული POA-ს განაწილების შესახებ;

ბ) ინფორმაციას აუქციონის შედეგების მიხედვით პრეტენდენტებს შორის განაწილებული POA-ს შესახებ

**გ) აუქციონის შედეგად დადგენილი ბოლო გამარჯვებული ფასის შესახებ ინფორმაციას (08.07.2015)**

**მუხლი 9 - აუქციონის შედეგების გასაჩივრება**

1. აუქციონის შედეგების, მათ შორის დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ კორექტირებული, გასაჩივრება შესაძლებელია წერილობით, აუქციონის შედეგების გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის განმავლობაში

2. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი განიხილავს საჩივარს და 2 სამუშაო დღის განმავლობაში აკორექტირებს აუქციონის შედეგებს ან უარს აცხადებს საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს საჩივრის დაკმაყოფილებაზე თუ ადგილი არ ჰქონია:

ა) ბაზრის წესების მოთხოვნების დარღვევას

ბ) ამ წესების მოთხოვნების დარღვევას

გ) პროგრამის მუშაობის ხარვეზს.

**მუხლი 10. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის ინიციატივით აუქციონის გამოცხადების პროცედურები და ვადები**

1. აუქციონის გამოცხადება ხორციელდება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე აუქციონის ვებ-გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის განთავსებით.

2. აუქციონი უნდა დაიხუროს (08.07.2015):

ა) გამოცხადებიდან არანაკლებ 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში ამ მუხლის მე-4 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის პირობის გათვალისწინებით;

ბ) იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური აუქციონი გამოცხადებულია ამ წესების პირველი მუხლის მე-2<sup>1</sup> პუნქტის საფუძველზე:

ბ.ა. საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის განაწილების მიზნით გამოცხადებული სპეციალური აუქციონის გამოცხადებიდან არანაკლებ 1 სამუშაო დღის ვადაში;

ბ.ბ. სისტემათაშორის გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ნარჩენი გამტარუნარიანობის განაწილების აუქციონისას, აუქციონის გამოცხადებიდან არანაკლებ 3 ასტონომიული საათის ვადაში.

3. გამოცხადებული აუქციონების დახურვის ვადები „POA“-ს შესაბამისი კომპონენტების მიხედვით არის შემდეგი (08.07.2015):

ა) სისტემათაშორის გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ნარჩენი გამტარუნარიანობის განაწილების გამოცხადებისას საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 12 (თორმეტი) სამუშაო დღით ადრე ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული შემთხვევის გათვალისწინებით;

ბ) საექსპორტოდ ნებადართული მოცულობის ნარჩენი მოცულობის გამოცხადებისას საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით ადრე, ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული შემთხვევის გათვალისწინებით;

გ) სატრანზიტოდ ნებადართული მოცულობის ნარჩენი მოცულობის გამოცხადებისას საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღით ადრე;

დ) იმ შემთხვევაში, როდესაც სპეციალური აუქციონი გამოცხადებულია ამ წესების პირველი მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის შესაბამისად, აუქციონი შეიძლება დახუროს ექსპორტის დაწყებამდე არაუგვიანეს 1 სამუშაო დღით ადრე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ საექსპორტოდ ნებადართული მოცულობა ნაკლებია სისტემათაშორისი ხაზების ცნობილ ATC-ზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, არაუგვიანეს 2 სამუშაო დღით ადრე.

4. აუქციონის გამოცხადების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

ა) POA-ს მოცულობას/მოცულობებს,

ბ) POA-ს გამოყენების კონკრეტული საანგარიშო პერიოდის/პერიოდების, ან/და დროის სხვა მონაკვეთების მითითებით;

გ) განაცხადების მიღების დაწყების და დასრულების პერიოდებს, (აუქციონის დასრულების დღე არ შეიძლება ემთხვეოდეს დასვენების ან/და უქმე დღეს)

დ) მოსათხოვი POA-ს მინიმალურ მოცულობას;

ე) მინიმალური ფასის ოდენობას;

5. აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ამ წესების მე-3 მუხლის მიხედვით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ ვებ-პლატფორმაზე დარეგისტრირებულ და კონკრეტული აუქციონისთვის გააქტიურებულ კანდიდატებს.

6. პრეტენდენტმა, რომელსაც სურს აუქციონში მონაწილეობა, შესაბამისი ვებ პლატფორმის გამოყენებით უნდა გააკეთოს განაცხადი მოთხოვნილი POA-ს მოცულობისა და საბოლოო ფასის/დამატებითი საფასურის შესახებ

7. პრეტენდენტს უფლება აქვს შეცვალოს/გააუქმოს წარდგენილი განაცხადი აუქციონის ვადის ამოწურვამდე.

8. აუქციონი ტარდება დაუსწრებლად, ვებ პლატფორმის გამოყენებით. შედეგების გამოქვეყნება ხდება აუქციონის ვადის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის განმავლობაში.

9. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი არ ატარებს სისტემათაშორისო გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობის ხელმისაწვდომი მოცულობის (ATC) განაწილების სპეციალურ აუქციონს, თუ რომელიმე

საანგარიშო პერიოდში ამ ხაზით გასატანი ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობისა და სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის ჯამური ოდენობა იგივე საანგარიშო პერიოდში არსებული ATC-ს მოცულობაზე ნაკლებია ან ტოლია.

10. ამ მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შესაბამის საანგარიშო პერიოდში ATC-ს განაწილება მოხდება ამ წესების მოთხოვნების შესაბამისად, იგივე საანგარიშო პერიოდში მოპოვებული საექსპორტოდ ნებადართული მოცულობისა და სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობის ოდენობების შესაბამისად.“

მუხლი 11. საანგარიშო კალენდარული წლის განმავლობაში პრეტენდენტის ინიციატივის საფუძველზე აუქციონის გამოცხადების და მონაწილედ რეგისტრაციის პროცედურა (03.11.2014 N291)

1. ამ წესების მე-5 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, აუქციონის გამოცხადება ხდება ასევე პრეტენდენტის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე. პრეტენდენტის მოთხოვნა უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) ექსპორტის (მხოლოდ ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის „ბ“ კატეგორიას მიკუთვნებული ელექტროენერჯის შემთხვევაში), ტრანზიტის ან/და რეექსპორტის განხორციელების პერიოდი, გასატანი ელექტროენერჯის მოცულობა, მოთხოვნილი სიმძლავრე;

ბ) ელექტროენერჯის წყაროს შესახებ ინფორმაცია. ელექტროენერჯის რეექსპორტის ან/და ტრანზიტის შემთხვევაში - იმ ქვეყნის(ების) დასახელება, საიდანაც იგეგმება ელექტროენერჯის რეექსპორტი ან/და ტრანზიტი და ასევე ქვეყანა, რომელშიც ხორციელდება ელექტროენერჯის მიწოდება (გადადინება);

გ) ბაზრის წესების მოთხოვნების თანახმად რეგისტრაციის მიზნით წარმოდგენილი შესაბამისი ელექტროენერჯის ყიდვა-გაყიდვის ის ხელშეკრულებები ან მათი ასლები (თუ ხელშეკრულებები უკვე რეგისტრირებულია), რომლის ფარგლებშიც იგეგმება შესაბამისი ექსპორტი, რეექსპორტი ან/და ტრანზიტის გადახრების დაფარვა;

დ) ელექტროენერჯის შემოდინებისა (იმპორტის) და გადინების (ექსპორტი) საათობრივი გრაფიკები მთელ მოთხოვნილ პერიოდზე;

ე) იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არაა დარეგისტრირებული აუქციონის ვებ-პლატფორმაზე ამ წესების მე-4 მუხლის შესაბამისად, ამ წესების მე-4 მუხლის \_\_ პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაცია.

2. პრეტენდენტის მხრიდან აუქციონის გამოცხადების მოთხოვნის საფუძველზე დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი აუქციონს აცხადებს იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა შემდეგი გარემოებები:

ა) პრეტენდენტის მოთხოვნა ეხება ექსპორტის (მხოლოდ ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის „ბ“ კატეგორიას მიკუთვნებული ელექტროენერჯის შემთხვევაში), ტრანზიტის ან/და რეექსპორტის განხორციელებას;

ბ) დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ არ არის უკვე გამოცხადებული სპეციალური აუქციონი იგივე სააუქციონო პროდუქტზე მოთხოვნილ პერიოდზე ან მის ნაწილზე;

გ) წერილობითი მოთხოვნა წარმოდგენილია დაგეგმილი ექსპორტის (მხოლოდ ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის „ბ“ კატეგორიას მიკუთვნებული ელექტროენერჯის შემთხვევაში), ტრანზიტის ან/და რეექსპორტის დაწყებამდე არანაკლებ 7 (შვიდი) სამუშაო დღით ადრე; (12.04.16 N208)

დ). პრეტენდენტის მოთხოვნით გათვალისწინებული გადადინების განხორციელების პირობების ვადები არ ეწინააღმდეგება ერთის მხრივ საქართველოს მთავრობას ან/და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს შორის და მეორეს მხრივ იმ მეზობელი ქვეყნების შესაბამის სტრუქტურებთან გაფორმებული ხელშეკრულების, მემორანდუმების ან/და შეხვედრის ოქმების პირობებს (მ.შ. ინფორმირებისა და გეგმების შეთანხმების ვადებს) რომელთა საზღვრების გადაკვეთასაც ითვალისწინებს დაგეგმილი ელექტროენერჯის გადადინება; (12.04.16 N208)

3. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი პრეტენდენტის წერილობითი მოთხოვნიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, არეგისტრირებს პრეტენდენტს აუქციონის ვებ პლატფორმაზე (თუ პრეტენდენტი უკვე არაა დარეგისტრირებული) და აცხადებს (12.04.16 N208):

ა) აუქციონს **საექსპორტოდ ნებადართული მოცულობაზე** (ექსპორტის შემთხვევაში) ან/და **სატრანზიტოდ ნებადართული გამტარუნარიანობაზე** (ტრანზიტის/რეექსპორტის შემთხვევაში), რომელიც უნდა დასრულდეს გამოცხადებიდან 2 (ორი) სამუშაო დღეში

ბ) ან/და აუქციონს სისტემათაშორის გადადინებისათვის განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ხელმისაწვდომი მოცულობის განაწილებაზე, რომელიც უნდა დასრულდეს გამოცხადებიდან 3 (სამ) სამუშაო დღის ვადაში.

გ) ან დადგენილი წესის უარს ეუბნება პრეტენდენტს მის გამოცხადებაზე.

4. დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტი უფლებამოსილია უარი განაცხადოს აუქციონის გამოცხადებაზე თუ:

ა) დარღვეულია ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნები;

ბ) ელექტროენერჯის ექსპორტი ექსპორტის (მხოლოდ ბაზრის წესების 14<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პრიორიტეტულობის „ბ“ კატეგორიას მიკუთვნებული ელექტროენერჯის შემთხვევაში), რეექსპორტი ან/და ტრანზიტი ტექნიკურად შეუძლებელია, მ.შ და არა მხოლოდ:

ბ.ა) ვინაიდან ელექტროენერჯის დისპეტჩერიზება შეუძლებელია ან/და გადადინებამ შესაძლებელია ხელი შეუშალოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობას, უსაფრთხოებას და საიმედო ფუნქციონირებას;

ბ.ბ) შიდა გამტარუნარიანობის რესურსის სიმცირის გამო;

ბ.გ) მეზობელი ქვეყნიდან ელექტროენერჯის შემოდინებისა ან/და მეზობელ ქვეყანაში გადინების შეზღუდვის გამო, მ.შ. სისტემათაშორისი გადადინებისათვის (ტრანზიტისათვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის ATC-ს არ არსებობა ან მისი სიმცირე მოთხოვნილ სიმძლავრესთან შედარებით;

ბ.დ) სისტემათაშორისი ტრანზიტისთვის (გადადინებისთვის) განკუთვნილი ახალი ელექტროგადამცემი ხაზების გეგმიური სარემონტო სამუშაოების გამო;

ბ.ე) მოთხოვნილი სიმძლავრის ექპორტი საჭიროებს ქ/ს ახალციხე-ში დამონტაჟებული HVDC მოწყობილობის მინიმალური გადასაცემი სიმძლავრეზე დაბალი დატვირთვით მუშაობას, რომელიც წარმოადგენს 35,2 მვტს თითოეული 350 მვტ-იანი პოლუსისათვის. გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უკვე დაგეგმილია ექსპორტი და მათი ჯამური მოცულობის

ექსპორტისათვის საჭიროა HVDC მოწყობილობის მინიმალურ გადასაცემ სიმძლავრეზე მაღალი ტვირთით მუშაობა.

ბ.ვ) ბაზრის წესების სხვა მოთხოვნების შესაბამისად, ელექტროენერჯის ექსპორტის ან/და იმპორტის შეუძლებლობის გამო;

ბ.ზ) სხვა ნებისმიერი ისეთი მიზეზის არსებობისას, რომელიც დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტს აძლევს საფუძველს ივარაუდოს, რომ ტრანზიტის, ექსპორტის, ან/და რეექსპორტის განხორციელება ტექნიკურად შეუძლებელია, ან/და მისმა განხორციელებამ შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობას

ბ.თ) ამოღებულია (08.07.2015)

5. აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ მხოლოდ ამ წესების მე-4 მუხლის მიხედვით დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტის მიერ ვებ-პლატფორმაზე დარეგისტრირებულ კანდიდატებს.

6. პრეტენდენტმა, რომელსაც სურს აუქციონში მონაწილეობა, შესაბამისი ვებ-პლატფორმის გამოყენებით უნდა გააკეთოს განაცხადი მოთხოვნილი POA-ს მოცულობისა და საბოლოო ფასის შესახებ.

7. პრეტენდენტს უფლება აქვს შეცვალოს/გააუქმოს წარდგენილი განაცხადი აუქციონის ვადის ამოწურვამდე.

## მუხლი 12. აუქციონის ჩატარების ალტერნატიული გზები და შემთხვევები

1. იმ შემთხვევაში თუ ადგილი აქვს აუქციონის ვებ-პლატფორმის ტექნიკურ გაუმართაობას და ამ წესებითა და ბაზრის წესებით დადგენილი პროცედურების ფარგლებში დასაშვები ვადების დაცვისათვის აუცილებელია აუქციონის ჩატარება ტექნიკური ხარვეზის გამოსწორებამდე, დასაშვებია აუქციონის ალტერნატიული მეთოდის გამოყენება.

2. აუქციონის ალტერნატიული მეთოდით ჩატარება გულისხმობს ყველა მონაწილის მიერ შემოთავაზების წარდგენას დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან დალუქული კონვერტით. დალუქულ კონვერტში მითითებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს ვებ-პლატფორმის მეშვეობით მისათითებელ ინფორმაციას, ფასისა და მოთხოვნილი POA-ს მოცულობის ჩათვლით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში დალუქული კონვერტების გახსნა განხორციელდება მონაწილეთა თანდასწრებით წინასწარ გამოცხადებულ დროსა და ადგილას.

4. აუქციონის ალტერნატიული მეთოდის გამოყენებისას POA-ს განაწილება ხდება ამ წესებითა და ბაზრის წესებით დადგენილი წესებისა დაცვით.

## მუხლი 13. ანგარიშსწორება

1. გამარჯვებული მონაწილე „POA“-ს შესაბამის მოცულობაზე უფლების მინიჭებისთვის აანაზღაურებს აუქციონის შედეგად განსაზღვრულ საფასურს ბაზრის წესების შესაბამისად.

#### მუხლი 14. პასუხისმგებლობა

1. გამარჯვებული მონაწილის მიერ მასზე განაწილებული „POA“-ს მოცულობის გამოუყენებლობის შემთხვევაში, მისი პასუხისმგებლობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობითა და ელექტროენერჯის გადაცემის ლიცენზიანტთან (ტრანზიტის შემთხვევაში - დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტთან) გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებით.

#### მუხლი 15. დასკვნითი დებულებები

1. აუქციონთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

2. აუქციონის წესები არ ზემოქმედებს საქართველოში დადგენილი ელექტროენერჯის დისპეტჩერიზაციისა და გადაცემის მომსახურების ტარიფებზე ან/და მათი გადახდის პირობებზე.